

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბაცანკალაშვილი

წევრ(ებ)ი:

მერი ქვრივიშვილი

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐**გეგმიური**

☒**არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ:205195028

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ვაჟა-ფშაველას 51
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ს/კ:205195028
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ilia_martali@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 (32) 215 81 12

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის

	დირექტორის 2026 წლის 17 მარტის MES 2 26 0000319475 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	01 აპრილი, 2026 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 18 თებერვალს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს MES 6 26 0000181166 კორესპონდენცია, რომელიც ეხება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ ეთიკური ნორმების შესაძლო დარღვევის საკითხს.

ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციას თან ერთვის მოსწავლის მშობლის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასწავლებელი პირველკლასელ აღსაზრდელს 2025 წლის დეკემბრის თვეში სიტყვიერად დაემუქრა და უყვირა, ხოლო მეორედ მიმდინარე წლის 13 თებერვალს მშობლის წინაშე უყვირა და აატირა ბავშვი.

კორესპონდენციაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
550	**514**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და სრულად გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები. რის შემდეგაც, რამდენიმე ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში, ხოლო რამდენიმე მათგანი - მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული ცვლილებები დეტალურად არის ასახული წინამდებარე ცხრილში:

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული* *და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობა არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენის შემდგომ*	*აღწერილობა*
ინდიკატორი N.			
N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*<u>სრულად შესაბამისი</u>*	*არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები მოწვეული პედაგოგის საათობრივი დატვირთვის შემცირების შესახებ შიდა ვაკანსიის / კონკურსის საშუალებით.*

N 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	მეტწილად შესაბამისი	არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგი შესაბამისობის გეგმა და გაგზავნილი კორესპონდენცია უსაფრთხოებისა დ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების მიზნით. შეთანხმების თარიღად განსაზღვრულია 01.09.2026 წელი.
N 3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სრულად შესაბამისი	არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები - ახალი ხელშეკრულების ფორმა და თანხმობის ფორმა.
N 3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	მეტწილად შესაბამისი	არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები - ბრძანება და პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის სერტიფიკატი. თუმცა ოფიცრის მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების ვადად განისაზღვრა 15.05.2026 წელი.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობა არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენის შემდგომ*	*აღწერილობა*
ინდიკატორი N.			
N 4.1.1.3	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება*	*<u>მეტწილად შესაბამისი</u>*	*არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინ შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები - სკოლამ შეიმუშავა ხელშეკრულების ახალი ფორმა, რომელშიც შინაგანაწესიდან გადმოტანილია მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ვადად განსაზღვრულია 15.09.2026 წელი.*
N 4.2.4.1	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების*	*<u>სრულად შესაბამისი</u>*	*არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მტკიცებულებები.*

	უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
N 4.2.4.2	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას*	*<u>სრულად შესაბამისი</u>*	*არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მტკიცებულებები.*
N 4.2.4.3	*შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს*	*<u>მეტწილად შესაბამისი</u>*	*არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მტკიცებულებები.* *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა დ გაგზავნილი კორესპონდენცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ*

			წესრიგის დაცვის წესის საქართველო *განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების მიზნით. ხარვეზის აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრულია 01.09.2026 წელი.*

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.		
N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღის დაცვით - 01.09.2026 წელი.
N 3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ოფიცრის მონაცემების შესაბამის ვებ-გვერდზე განთავსების შესახებ, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული თარიღის დაცვით - 15.05.2026 წელი.*
სტანდარტი N4	***მოსწავლეთა მხარდაჭერა***	
ინდიკატორი N.		
N 4.1.1.3	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ახალი ფორმით ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადის დაცვით - 15.09.2026 წელი.*
N 4.2.4.3	*შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული თარიღის დაცვით - 01.09.2026 წელი.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
N 3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*ვინაიდან სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრად დაინიშნა ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, <u>დაწესებულებას მიეცა რჩევა,</u> დაადგინოს, წარმოშობს თუ არა ეს გარემოება ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის N 33 მუხლში - ხოლო, ინტერესთა კონფლიქტის დადგენის შემთხვევაში, იმოქმედოს კანონის შესაბამისად.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ვიზიტის აღწერილობა და ექსპერტთა მიგნებები

ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში აღწერილი გარემოებებისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესწავლის, სკოლის მიერ მოსწავლეთა მხარდაჭერის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული პროცესების შესრულების შემოწმებისა, და მონიტორინგის საფუძვლებში აღწერილ ინციდენტზე სკოლის რეაგირების მოკვლევის მიზნით. ვიზიტის დროს, გამოთხოვილ იქნა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, შემოწმდა განცხადებაში მოხსენიებული მასწავლებლის კვალიფიკაცია, განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოსწავლე სკოლაში აღარ ირიცხება მიმდინარე წლის 18 თებერვლიდან, ექსპერტები ინდივიდუალურად გაესაუბრნენ მოსწავლის მამას (განცხადების ავტორს) და დედას, განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებებიდან გამომდინარე.

ვიზიტის დროს დაფიქსირებული მიგნებების ცხადად და ლაკონიურად აღწერის მიზნით, დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ ინციდენტთან დაკავშირებულ გარემოებებს, ვიზიტის დროს გამოკვეთილ სხვა მნიშვნელოვან მიგნებებს და მათთან დაკავშირებული რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობას.

მონიტორინგის საფუძვლებში აღწერილ ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებები

ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს განცხადებაში აღწერილი 2026 წლის 13 თებერვლის ინციდენტი, ესაუბრნენ პედაგოგს, სხვა მშობლებს (რომელთა შვილებიც ინციდენტის დროს ოთახში იმყოფებოდნენ), სკოლის 2 სხვა მასწავლებელს (რომლებიც ხმაურის გამო ინციდენტის ადგილზე მივიდნენ), სკოლის დირექციას. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მომჩივანი მხარის განცხადებებს, პირად მოსაზრებებს და მეორეს მხრივ, შეისწავლა სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ასევე დისციპლინური საბჭოს მიერ მასწავლებლის გადაცდომის საკითხის განხილვის ოქმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდგომი მიგნებები:

<u>ინციდენტის აღწერილობა:</u> მიმდინარე წლის 13 თებერვალს, 16:00 – 16:30 შუალედში, როდესაც პირველი კლასის გაკვეთილები უკვე დასრულებული იყო და მიმდინარეობდა გახანგრძლივებული მომსახურება, მოსწავლეს მიაკითხეს მამამ (განცხადების ავტორი) და მამიდამ საკლასო ოთახში, სკოლიდან გაყვანის მიზნით. დაკაკუნების შემდგომ, მათ მასწავლებლისგან მიიღეს უფლება, შესულიყვნენ ოთახში; მოსწავლემ მამის დანახვისთანავე მიატოვა დავალების შესრულება,

რაზეც მასწავლებელმა მიუთითა, ჯერ დავალება დაესრულებინა და ეჩვენებინა ნაშრომი. ნაშრომის შემოწმების შემდგომ, მასწავლებელმა კვლავ მისცა შენიშვნა მოსწავლეს და მიუთითა, ჯეროვნად შეესრულებინა დავალება და ისე წასულიყო; თუმცა, ამ პროცესში ჩაერთო მამა, ვინაიდან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მასწავლებლის მხრიდან მოსწავლისთვის მიცემული შენიშვნის ფორმა. როგორც მოსწავლის მამა თავის განცხადებებში (სამინისტროს მიმართ, სკოლის მიმართ) აღნიშნავს, პედაგოგმა მოსწავლეს წაართვა რვეული და ყვირილით უთხრა „ეს რა არის“, რის შედეგადაც (მოსწავლეს) ნერვიულობის გამო ყბა გვერდით გადაეხარა და ატირდა. ამას მოჰყვა მშობლისა და მამიდისაგან ხმამაღალი რეაქცია, რის პასუხადაც, შეურაცხყოფილმა და განერვიულებულმა მასწავლებელმა მამას უთხრა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, მას მოსწავლესთან ურთიერთობის უფლება მხოლოდ 19:00 საათის შემდეგ ჰქონდა. პირადი ინფორმაციის საჯაროდ გაცხადების ფაქტმა კიდევ უფრო გააღიზიანა მშობელი, რის გამოც მასწავლებელს მოუწია ტელეფონით დაკავშირებოდა ბავშვის დედას (რომელიც მალევე მივიდა სკოლაში) და დირექტორს. საბოლოოდ, დაცვის თანამშრომლის ჩარევით, მოხერხდა მშობლისა და მამიდის სკოლის ტერიტორიიდან გაყვანა. აღნიშნულ ინციდენტს შეესწრო მოსწავლის 4 კლასელი, რომლებიც საკმაოდ შეშინდნენ და ორი პედაგოგი, რომლებიც ხმაურის გამო მივიდნენ აღნიშნულ საკლასო ოთახში.

ექსპერტთა ძირითადი მიგნებები:

1. სკოლის პედაგოგები, რომლებიც პირველი კლასის ოთახიდან გამოსული ხმაურის გამო შეესწრნენ 13 თებერვლის ინციდენტს, <u>არ ადასტურებენ</u> მასწავლებლის მხრიდან ყვირილის ფაქტს. თუმცა აღნიშნავენ, რომ მოსწავლის მშობელი და მამიდა, საკმაოდ აგრესიულები იყვნენ პედაგოგის მიმართ, რომელიც იმდენად შეუძლოდ იყო, რომ სკამიდან ადგომას ვერ ახერხებდა. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ინციდენტის დროს მოსწავლის მამიდას დააზუსტებინეს, იყვირა თუ არა პედაგოგმა, რაზეც მამიდამ აღნიშნა, რომ არ უყვირია - საქმეს ურჩევდა ბავშვს. ისინი, აგრეთვე, ადასტურებენ, რომ ინციდენტის შემსწრე პირველკლასელი მოსწავლეები, დათრგუნულები, კუთხეში მიყუჟულიყვნენ მომხდარის გამო. ზოგადად, კოლეგები აღნიშნულ პედაგოგს დადებითად ახასიათებენ, როგორც ერთ-ერთ გამოცდილ და კვალიფიციურ მასწავლებელს, რომელსაც არასდროს მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია. მასწავლებლები არ ადასტურებენ განცხადებაში მოხსენიებული მოსწავლის ტირილს ან „ყბის გადახრას“.
2. <u>დადებითია პედაგოგის შესახებ ინციდენტის შემსწრე სხვა მოსწავლეების მშობლების დახასიათებაც.</u> მათ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პედაგოგის მხრიდან მოსწავლეთა მიმართ ყვირილის ან არაღირსეულად მოპყრობის შემთხვევა არ ჰქონიათ. პირიქით, თბილსა და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე აკეთებდნენ აქცენტს.
3. <u>მოსწავლის მამა აღნიშნავს, რომ მან ინციდენტამდეც შენიშნა მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ შეუფერებელი დამოკიდებულება (შემთხვევა მოხდა 2025 წლის დეკემბრის თვეში და აღწერილია განცხადებაში), რის გამოც ესაუბრა დირექტორს.</u> ამის შემდეგ, ინციდენტამდე რაიმე განსაკუთრებული აღარ მომხდარა, თუმცა ამჩნევდა, რომ

დირექტორთან საუბრის შემდგომ, მასწავლებელს მის მიმართ ცივი დამოკიდებულება ჰქონდა. 13 თებერვლის ინციდენტის დროს, მამა ძალიან გააღიზიანა მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ტონმა და მისი ოჯახური ცხოვრების პირადი დეტალის გასაჯაროებამ, რის თქმის უფლებაც, მამის აზრით, პედაგოგს არ ჰქონდა. მოსწავლის მამა ასევე აღნიშნავს, რომ სკოლის მხრიდან ბოდიშის მოხდის შემთხვევაში, არ მისცემდა საქმეს ამგვარ მსვლელობას.

4. <u>განცხადებაში მოხსენიებული პედაგოგი უარყოფს მოსწავლის მიმართ არაეთიკურად მოპყრობის ფაქტს.</u> ის აღნიშნავს, რომ საკუთარი მოვალეობის პირნათლად შესრულების მიზნით და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისცა მოსწავლეს შენიშვნა, მოუწოდა დაესრულებინა დავალება და ისე დაეტოვებინა საკლასო ოთახი. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დეკემბერში დაფიქსირებული შემთხვევაც მისი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაცია იყო, სავარაუდოდ, მოსწავლის და შემდგომ მშობლების მხრიდან. მასწავლებელმა განმარტა, რომ ვინაიდან პირველკლასელები ხშირად ეხუტებიან და ამგვარად გამოხატავენ სითბოს, მასწავლებელიც სიყვარულით ეუბნებოდა მათ: „ახლა არ მოგგუდოთო“ (იგულისხმება ძლიერად ჩახუტება). თუმცა, განცხადების ავტორის დირექტორთან საუბრისა და შესაბამისი მითითების შემდგომ, აღარ გამოუყენებია მსგავსი ტერმინი. პედაგოგმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ 22 წელია რაც წმინდა ილია მართლის თბილისის სკოლაში მუშაობს და ასე ცუდად თავი არასდროს უგრძვნია - ინციდენტმა და მისმა შემდგომმა მსვლელობამ, ის პიროვნულად „გაანადგურა“.
5. <u>მოსწავლის დედასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მას ჯანსაღი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა პედაგოგთან.</u> არასდროს ჰქონია პრობლემა ან გაუგებრობა ბავშვთან არასათანადო მოპყრობის მიზეზით. ასეთი დადებითი ურთიერთობის გამო, პირად საუბარში პედაგოგს გაუზიარა, რომ ყოფილ მეუღლეს სასამართლოს გზით ჰქონდა შეზღუდული შვილთან ურთიერთობა 19:00 საათამდე - თუმცა როცა მამას მიჰყავდა მოსწავლე, ეს იმას ნიშნავდა, რომ დედასთან შეთანხმებული იყო და შეფერხების გარეშე შეეძლო ბავშვის გაყვანა. ინციდენტთან დაკავშირებით, დედა აღნიშნავს, რომ ორივე მხარეს შეეძლო კონფლიქტის თავიდან არიდება: მასწავლებელს ნაკლები პრინციპულობისა და სიმკაცრის გამოვლენით, ხოლო მოსწავლის მამას უკმაყოფილების საკლასო ოთახის გარეთ, უფრო კონსტრუქციულ გარემოში, გამოხატვით. მოსწავლის დედა აღნიშნავს, რომ სასამართლო შეზღუდვის ხმამაღლა ხსენება არ იყო მიზანშეწონილი, ვინაიდან ეს ფაქტი არაფორმალური სახით გააცნო მასწავლებელს.
6. <u>დირექტორთან გასაუბრებით და დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმის გაცნობით დადგინდა, რომ სკოლამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მასწავლებლის მხრიდან სასამართლო შეზღუდვის ხსენება მოსწავლის მამასთან, თუმცა ჩათვალა, რომ სხვა სახის ეთიკურ გადაცდომას მასწავლებლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.</u>

ექსპერტთა ჯგუფის შეჯამება ზემოხსენებულ მიგნებებთან დაკავშირებით:

ექპერტთა ჯგუფი **არსებითად ეთანხმება სკოლის დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებას** პედაგოგთან მიმართებით. ვინაიდან მშობელს სკოლისათვის ოფიციალურად არ წარუდგენია სასამართლო შეზღუდვის გადაწყვეტილება, არ შეიძლება ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია დაწესებულებამ ან სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრმა მიიჩნიოს მშობლის უფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად. შესაბამისად, კონფლიქტში ასეთი არგუმენტის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. **სხვა ფორმალური გადაცდომა მასწავლებლის მხრიდან, საკითხის შესწავლის შედეგად, არ გამოვლინდა.** სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთან გასაუბრებისა და შემთხვევის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე, შესაძლოა დავუშვათ, რომ მასწავლებელს ჰქონდა ოდნავ მეტად პრინციპული და მკაცრი მიდგომა მოსწავლის მიმართ (რასაც სკოლის მხარე უარყოფს და ადასტურებს განცხადების ავტორი), მაგრამ ეს არ წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, სკოლის შინაგანაწესის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევას, რაც მასწავლებლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია.

ვიზიტის დროს გამოკვეთილი სხვა მნიშვნელოვანი მიგნებები

საგანმანათლებლო გარემო:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიზიტი განხორციელდა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის საფუძველი წარმოადგენდა სენსიტიურ და კომპლექსურ საკითხს.

7-12 კლასის მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეებზე ორიენტირებული გარემოა, პედაგოგები ზრუნავენ მათ აკადემიურ თუ პიროვნულ მხარდაჭერაზე; მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოთქმა, შეკითხვების დასმა, დირექციასთან ურთიერთობა. თვლიან, რომ პედაგოგები სამართლიანად აფასებენ მათ და ხელს უწყობენ როგორც სასწავლო, ისე სხვა შემეცნებითი / პიროვნული საკითხების უკეთ გააზრებაში.

ადამიანური რესურსი

ექსპერტებმა შეისწავლეს განცხადებაში მოხსენიებული მასწავლებლის კვალიფიკაცია. პედაგოგი პირველ კლასში ასწავლის ქართულ ენას, მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას. ასევე, არის ამ კლასის მზრუნველი (აქვს შესაბამისი ხელშეკრულება).

პედაგოგთან გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, თუმცა რეალურად მას უფიქსირდება 15 საათი, რაც არ არის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

- ***შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება შიდა კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით და ბრძანება საათების გადანაწილებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული პედაგოგის საათობრივი დატვირთვა შემცირებულია და არის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.***

მოსწავლეთა მხარდაჭერა

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლას მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრული აქვს შინაგანაწესში.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა საყურადღებო გარემოება გახანგრძლივებულ მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ გარკვეული ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე გახანგრძლივებული ჯგუფის სახით და იღებენ აღნიშნულ მომსახურებას პედაგოგთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს გაწერილი გახანგრძლივებული სწავლების მკაფიო რეგულაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იძებნება მსგავსი ტიპის ჩანაწერი და არც მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში ჩანს გახანგრძლივებული სწავლებით უზრუნველყოფის პირობები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ მასწავლებლების შრომით ხელშეკრულებებში არ იკვეთება გახანგრძლივებული სწავლების დაკისრების მოვალეობა, მხოლოდ დამრიგებელთან/მზრუნველთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მესამე მუხლის მერვე პუნქტი მიუთითებს მასწავლებლის მხრიდან საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ, დირექციასთან შეთანხმებით, საჭიროების მიხედვით მოსწავლეებთან, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარებას. აღნიშნული ჩანაწერი ვერ ადასტურებს ფაქტს, <u>**რომ სკოლის მხრიდან გახანგრძლივებულის მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.**</u>

- *შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საკრებულოს სხდომის ოქმი, განახლებული სასკოლო სასწავლო გეგმა, გახანგრძლივებული მომსახურების პაკეტი და ხელშეკრულებების ახალი ფორმები როგორც თანამშრომლებისათვის, ისე მოსწავლეთა მშობლების / კანონიერი წარმომადგენლებისათვის.*

<u>აღნიშნული გარემოებათა შესახებ ინფორმაცია აღწერილია ინდიკატორების სახით მესამე და მეოთხე სტანდარტში.</u>

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ აღნიშნულ პედაგოგს არ უდასტურდებოდა „უფროსი მასწავლებლის“ სტატუსი. სკოლამ წარადგინა 2024 წელს დადებული შრომითი ხელშეკრულება, სადაც იგი აყვანილია „მოწვეული მასწავლებლის“ სტატუსით (ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ერთი წლით). ამასთან, მიმდინარე სასწავლო წელს პედაგოგის საათობრივი დატვირთვა შეადგენს ჯამში 15 (თხუთმეტი) საათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის მაქსიმუმთან.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება შიდა კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით და ბრძანება საათების გადანაწილებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული პედაგოგის საათობრივი დატვირთვა შემცირებულია და არის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები;
2. პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები," საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. დოკუმენტში ზოგად დებულებებთან ერთად გაწერილია: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის დადგენილი სხვა აუცილებელი ნორმები.

<u>**სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების მტკიცებულება.**</u>

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გაგზავნილი კორესპონდენცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების მიზნით. შეთანხმების თარიღად განსაზღვრულია 01.09.2026 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

"პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის მიღებას გეგმავს დოკუმენტით, რომელიც აგრეთვე სხვა საკითხებს შეეხება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ამ დოკუმენტში თანხმობის შესახებ ტექსტი ჩამოაყალიბოს მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით და გამოყოს იგი დოკუმენტის სხვა ნაწილებისგან. <u>**პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის რეკომენდაციით, მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მიღება გამართლებული არ არის შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით და ამისათვის უნდა შემუშავდეს ცალკე ფორმა, გამოყოფილი უნდა იყოს ძირითადი ხელშეკრულებისგან, ვინაიდან თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას.**</u> აღნიშნულიდან გამომდინარე, სავალდებულოა სკოლის მიდგომა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლთან და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკასთან; მნიშვნელოვანია, თანამშრომლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან მე-10 მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, ხოლო ახალ ხელშეკრულებებში კი ამოღებულ იქნეს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ჩანაწერი.

<u>**სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.**</u>

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები - ხელშეკრულების ახალი ფორმა, თანხმობის ფორმა, ბრძანება და პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის სერტიფიკატი. თუმცა, შესაბამისი ვებგვერდზე მიმდინარე ტექნიკური სამუშაოების გამო, ოფიცრის მონაცემების განთავსების ვადად განისაზღვრა 15.05.2026 წელი.

რჩევა: ვინაიდან სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრად დაინიშნა ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, **დაწესებულებას მიეცა რჩევა,** დაადგინოს, წარმოშობს თუ არა ეს გარემოება ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის N 33 მუხლში - ხოლო, ინტერესთა კონფლიქტის დადგენის შემთხვევაში, იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები;
2. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
3. თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად არ არეგულირებს მხარეებს შორის ურთიერთობას. ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ ხელშეკრულების საგანი, მომსახურების საფასური და დასკვნითი დებულებები, რომელშიც ხელშეკრულების ვადაა განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, ხელშეკრულებით რეგულირდებოდეს ხელშეკრულების არსებითი პირობები, მხარეთა უფლება მოვალეობები, პასუხისმგებლობის წესი და ა.შ. გარდა ამისა, ხელშეკრულების საფუძვლად მითითებულია 2017 წლის 27 თებერვლის №37 გადაწყვეტილება, როცა სკოლას ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2023 წლის 13 თებერვალს აქვს მინიჭებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გადაიხედოს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები - სკოლამ შეიმუშავა ხელშეკრულების ახალი ფორმა, რომელშიც შინაგანაწესიდან გადმოტანილია მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები. ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ვადად განსაზღვრულია 15.09.2026 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები;
2. მოსწავლის მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლას არ ჰქონდა გაწერილი გახანგრძლივებული სწავლების მკაფიო რეგულაციები. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იძებნებოდა მსგავსი ტიპის ჩანაწერი და არც მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში ჩანდა გახანგრძლივებული სწავლებით უზრუნველყოფის პირობები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ მასწავლებლების შრომით ხელშეკრულებებში არ იკვეთებოდა გახანგრძლივებული სწავლების დაკისრების მოვალეობა, მხოლოდ დამრიგებელთან/მზრუნველთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მესამე მუხლის მერვე პუნქტი მიუთითებდა მასწავლებლის მხრიდან საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ, დირექციასთან შეთანხმებით, საჭიროების მიხედვით, მოსწავლეებთან როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური შეხვედრებისა და კონსულტაციების

ჩატარებას. თუმცა აღნიშნული პირდაპირპროპორციულად არ გულისხმობდა გახანგრძლივებულ სწავლებას, როგორც რეგულარულ მომსახურებას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა ინფორმირებისათვის შექმნილი გახანგრძლივებული სწავლების „მომსახურების პაკეტი“, რომელიც გახანგრძლივებული სწავლების მიმართულებებს, რეჟიმს და კონკრეტულ კლასებს მიუთითებდა. <u>თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ იყო დირექტორის მიერ დამტკიცებული ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის მიერ შემუშავებული / შეთანხმებული; შესაბამისად, არ წარმოადგენდა რაიმე ტიპის მარეგულირებელ წესს.</u>

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლაში 2026 წლის 7 აპრილს ჩატარებულ პედაგოგიურ საკრებულოზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა სასკოლო-სასწავლო გეგმაში. 8 აპრილიდან სასკოლო-სასწავლო გეგმას ბრძანებით დაემატა თავი სახელწოდებით "გახანგრძლივებული დღის სწავლება", სადაც დაწვრილებით გაიწერა გახანგრძლივებული დღის სწავლების მიზნები, ამოცანები და მისაღწევი შედეგები, მიმართულებები, რეჟიმი და სამიზნე კლასები. ასევე, შემუშავდა დოკუმენტი ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის“ გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურების პაკეტი, რომელიც მოიცავს სწავლების მიმართულებებს, რეჟიმს, კონკრეტულ კლასებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, იგი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მომსახურების მიმღებთან დათქმული წესი და პირობები გაიწერა მომსახურების მიმღებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში და გახანგრძლივებული დღის სწავლების ჯგუფის მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ გახანგრძლივებული სწავლება ხორციელდებოდა ნებაყოფლობითობის პრინციპით, მშობელსა და მასწავლებელს შორის ზეპირი შეთანხმების ფორმით და არა წერილობით დეკლარირებული ორმხრივი შეთანხმებით. გახანგრძლივებული სწავლების პირობები კი მასწავლებლის მხრიდან ეცნობოდა

მშობელს „მომსახურების პაკეტის“ სახით, სადაც გახანგრძლივებული სწავლების მიმართულებები, რეჟიმი და ძირითად პრინციპები იყო აღწერილი. **<u>წარმოდგენილი მასალა მწირია იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რამდენად ემსახურებოდა პროცესი მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას და რამდენად იყო დაცული მომსახურების მიმღებთან დათქმული წესი და პირობები.</u>**

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლაში 2026 წლის 7 აპრილს ჩატარებულ პედაგოგიურ საკრებულოზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა სასკოლო-სასწავლო გეგმაში. 8 აპრილიდან სასკოლო-სასწავლო გეგმას ბრძანებით დაემატა თავი სახელწოდებით "გახანგრძლივებული დღის სწავლება", სადაც დაწვრილებით გაიწერა გახანგრძლივებული დღის სწავლების მიზნები, ამოცანები და მისაღწევი შედეგები, მიმართულებები, რეჟიმი და სამიზნე კლასები. ასევე, შემუშავდა დოკუმენტი ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის'' გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურების პაკეტი, რომელიც მოიცავს სწავლების მიმართულებებს, რეჟიმს, კონკრეტულ კლასებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, იგი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მომსახურების მიმღებთან დათქმული წესი და პირობები გაიწერა მომსახურების მიმღებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში და გახანგრძლივებული დღის სწავლების ჯგუფის მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლამ წარადგინა „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა თუ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. თუმცა არ დასტურდება, რამდენად შეითანხმა აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ. **ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ აქვს გაწერილი გახანგრძლივებული სწავლების მკაფიო რეგულაციები, მათ შორის სწავლების პროცესში პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხები უსაფრთხოების ზოგადად არსებულ ნორმებთან მიმართებით, ვერ დგინდება რამდენად გათვალისწინებულია გახანგრძლივებული სწავლების რეჟიმში მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.**

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები გახანგრძლივებული სწავლების სასკოლო რეგულაციების განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, სკოლაში 2026 წლის 7 აპრილს ჩატარებულ პედაგოგიურ საკრებულოზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა სასკოლო-სასწავლო გეგმაში. 8 აპრილიდან სასკოლო-სასწავლო გეგმას ბრძანებით დაემატა თავი სახელწოდებით "გახანგრძლივებული დღის სწავლება", სადაც დაწვრილებით გაიწერა გახანგრძლივებული დღის სწავლების მიზნები, ამოცანები და მისაღწევი შედეგები, მიმართულებები, რეჟიმი და სამიზნე კლასები. ასევე, შემუშავდა დოკუმენტი ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის'' გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურების პაკეტი, რომელიც მოიცავს სწავლების მიმართულებებს, რეჟიმს, კონკრეტულ კლასებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, იგი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მომსახურების მიმღებთან დათქმული წესი და პირობები გაიწერა მომსახურების მიმღებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში და გახანგრძლივებული დღის სწავლების ჯგუფის მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

გარდა ამისა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და გაგზავნილი კორესპონდენცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების მიზნით. შეთანხმების თარიღად განსაზღვრულია 01.09.2026 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები;
2. გახანგრძლივებული სწავლების „მომსახურების პაკეტი“;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;

4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
5. დამრიგებელთან/მზრუნველთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 11.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბაცანკალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მერი ქვრივიშვილი